საქართ. მშრომელთა სოც.-ფედერალისტთა რევოლუციონ. პარტია
ცენტრ. კომიტეტის ორგანო

ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 45,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე 150,000 მ.; უკანასკნელზე 100,000 მ. კანტორა ღიაა დილის 9—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ფასი 7000 მან.

№ 150

პარასკევი, თებერვალი 17
1922 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ესტატეს ძე ცო[illegible]—პლატაგია როსტომის ასული შვილებით თინათინ, ვახტანგ და ქართლოსი, ივანე და ნიკოლოზ, მუმლაძენი, ასული ნინო თავის ქმრით ნიკოლოზ თიგიშვილით, მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობართ: პირველი ძვირფასი დედის, მეორე—დედამთილის, მესამენი—ბიდედის, მეოთხენი—დედის და მეხუთე—სიდედრის

მარიამ თევდორეს ასულის
მუმლაძის

გარდაცვალებას, გამოსვენება მოხდება დღეს, თებერვლის საკუთ. 17 სახლიდან (არსენალის შესახვევი № 6) სამების ეკლესიაში, დილის 10 საათზე, დაკრძალვა პეტრე პავლეს სასაფლაოზე.

142

პარასკევს, თებერვლის 17-ს
პირველ სახელმწიფო კონსერვატორიის
დარბაზში გაიმართება
პოეტი გიონ საგანელის
საღამო

1 სიტყვა გიონ საგანელის.
2 დამთავრებული სიტყვა პოეზიიდან.
3 პოეზია.

ბილეთები იყიდება.
დაწყება 9 საათზე.

1

„გამოსვლების“ გამო

გ.

ინტელიგენცია.

ჩვენს საზოგადოებრივს ცხოვრებაში ძირითადი ცვლილება მოხდა. რუსეთის რევოლუციამ სრულიად შესცვალა ჩვენი ეკონომიკის და პოლიტიკის ვითარებანი.

არა მარტო ძველი ეკონომიკა და ეკონომიური კატეგორიები დაიშალა, იშლება და ხდება სრული ლიკვიდაცია ძველი საზოგადოებრივი ჯგუფების. უმტკივნეულოდ, რასაკვირველია, შეუძლებელია ყველა საზოგადოებრივი ჯგუფის ლიკვიდაცია. ეს პოლიტიკური ტორტმანი, უძლური პოლიტიკური ხასიათის „გამოსვლები“ ზოგიერთ პოლიტიკურ ჯგუფების, რომელსაც ჩვენს ცხოვრებაში აქვს ადგილი, უბრალო, წვრილი ხასიათის მოვლენა როდია, ის სხვა და სხვა საზოგადოებრივ ჯგუფების ლიკვიდაციის წინამორბედი და შედეგია.

მე-XIX საუკუნის პირველს ხანაში, პოლიტიკური ტორტმანობას ეწეოდა მხოლოდ და უმთავრესად ფეოდალური ინტელიგენცია, რომელიც ეროვნულს და კლასიკურ-რომანტიულ აზრებში ახვევდა თავის გამოსვლებს, ამ „ინტელიგენციის“ ბრძოლა დამთავრდა მისი გადაშენებით და მოკვდით. ხსენებულ ბრძოლიდან დარჩენილა მხოლოდ ისტორიული ეპიზოდები მეცხრამეტე საუკუნის ჩვენი ცხოვრებისათვის.

დღესაც იგივე დაახლოვებითი სურათია ჩვენს გარშემო გადაშლილი. არისტოკრატიულ ინტელიგენციას სავსებით გამოეცალა თავისი ნავთ-საყუდელის „ძაძული“, მისი წარმომადგენელნი ან ფიზიკურად გადაშენდნენ, ან კიდევ ისტორიულ ტრანსფორმაციის წრეგაცხენ დაკარგეს თავიანთი პირვანდელი სახე, ბოლო აართვეს მომენტის მნიშვნელობას, უარყვეს თავიანთი ისტორიული ტრადიციები, ზნე-ჩვეულებანი, პოლიტიკური გაბზრახვანი და ახალ სოციალურ ვითარებას შეუერთდნენ, როგორც მშრომელნი, როგორც უბრალო მუშაკნი და მეურნენი.

გადარჩა მხოლოდ ის ნაწილი ძველი საზოგადოებრივი ჯგუფების, რომლებმაც შეიგნეს ახალი ცხოვრების ახალი მოთხოვნილებანი და შეუდგნენ მის სამსახურს.

ჩვენს თანამედროვე ინტელიგენციას დიდი წინდახედულობა მართებს დღევანდელ მომენტის შეფასებისას. ასეგებული ცხოვრება და მომენტი შესანიშნავი ისტორიული ეპოქაა ყოველივე ძველის მომსპობი და გამანადგურებელი.

თუ ერთს დროს ხ[illegible]პოდა და მოხდა ლიკვიდაცია არისტოკრატიული ინტელიგენციის, ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ინტელიგენციის სასარგებლოდ, დღეს ხდება ლიკვიდაცია ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ინტელიგენციის სოციალისტურ ინტელიგენციის სასარგებლოდ.

მხოლოდ ის ძალა შერჩება ცხოვრებას და არ გაირიყება, რომელიც შესძლებს თავის ტრადიციების უარყოფას და ახალ ისტორიისათვის ახალი გზების მიღებას და შეგუებას.

თუ დავაკვირდებით ჩვენს მიმდინარე ვითარებას, ჩვენ დავინახავთ, რომ თანამედროვე ცხოვრებას მეთაურობენ სრულიად ახალი რადიკალური ელემენტები. თანამედროვე კომუნისტურ პარტიაში მეტი ნეომარქსიზმია ვიდრე 15 წლის წინა პერიოდის ბოლშევიზმი. თუ ბოლშევიზმი გაცილებით წინ წავიდა პროგრამის რადიკალური რევიზიით და გამემარცხენებით, რითაც ბოლშევიზმმა, უკეთ კომუნიზმმა, შესძლო ახალ ცხოვრებისათვის ალღოს აოთმევა და მესვეურობის როლის თამაში, სრულიად საწინააღმდეგო გზა მიიღო მარქსიზმის მეორე ფრთამ მენშევიკურმა სოციალ-დემოკრატიამ. მენშევიკურმა პარტიამ ახალ ცხოვრების ვითარებიდან სრულიად ვერაფერი ისწავლა, ის შერჩა თავის დოგმატიკას და საკუთარ პროგრამულ ნაბიჯებს კი დევ უფრო მარჯვნივ გადასწია ბურჟუაზიის მიმართულებით და დაუახლოვდა ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიას.

მენშევიკური პარტია საქართველოში ჩამოყალიბდა ჯგუფების სახით 1897 წელს. ესე იგი 1922 წ. შესრულდა სწორედ 25 წელიწადი, რაც მენშევიკური პარტია არსებობს. ამ ხნის განმავლობაში ვისთვისაა დღეს საკითხად, რომ მსოფლიოს და ჩვენი ეკონომიური ცხოვრება შეირყა და შეიცვალა. მეოთხმოცდაათე წლებში პროგრესიული, პარტია დღეს სავსებით რეგრესიული და კონტრრევოლიუციურია. დასელებმა ძოსპქ[illegible] თავიანთი დრო, ისინი იმდენად გაკოტრდნენ პოლიტიკურად, რომ თანამედროვე რეაქციის ბუდე—ანტანტა და მისი სავანე—ვერსალი გაიხადეს კეთილდღეობის საფუძვლად. რა გვართი ლ[illegible]აზი აზრიც არ უნდა აქონდათ მენშევიზმს, იგი მხოლოდ ამ ფაქტის არის ისტორიის წარსულში გადატყორცნილი. მენშევიზმს ის გარემოება ვერ დაიხსნის, რომ მისი ზოგიერთი მიმდევარნი კატორღაში ჩალპა. მაგრამ ეს მოხდა არა ახალი თანამედროვე რევოლიუციური მოღვაწეობის გამო, არამედ იმ დროს, როცა ისინი მართლაც იყვნენ რევოლიუციონერები. დღეს კი ისინი კატორღელები არიან წარსული, აწმყოთი კი ბურჟუაზიის ლაქიები გახლავთ, სმოკინგებში და ხელთათმანებში გამოწყობილნი ყოველივე ეს გარეგნული გამოხატულებაა ღრმა ისტორიულ სინამდვილისა და ვითარებისა.

ამგვარად, მენშევიზმი დ მისი ამყოლ-დამყოლი ჯგუფები ისტორიულად ლიკვიდაციის პროცესში იმყოფებიან. ისინი სისინებენ, ცდილობენ ყოველგვარი ნაშით თავი გაიტანონ, მაგრამ განა განაშით დაიხსნის ისტორიულად გარიყული ჯგუფების დამარცხებიდან?

ჩვენი ინტელიგენცია დღეს კიდევ არ არის დიდ სოციალურ საკითხებში გამორკვეული. ბურჟუაზიულ და ნახევრად ბურჟუაზიული ინტელიგენცია რუსეთში ფიზიკურად და სულიერად ისევე გადაშენდა, ან კიდევ გადაშენეს, როგორც არისტოკრატიული ინტელიგენცია გადაშენდა და გადაშენეს თავის დროს. დღეს რუსეთში მხოლოდ ბურჟუაზიულ ინტელიგენციის ის ნაწილი სცოცხლობს და ვითარდება, რომელმაც შესძლო ძველი ტრადიციებისათვის თავის დანებება და ახალთან შეგუება. „ვეხისტები“ ამ მხრივ მხოლოდ სიმპტომატიური მნიშვნელობის მოვლენაა.

რასაც ჩვენ ვამბობთ—ეს არის არა ჩვენი ფანტაზია და აპრიორი მსჯელობა, არამედ ინდუქტიური მეთოდით აღებული კონსტატაცია ფაქტების აპოსტერიული მსჯელობა. ჩვენი ძველი გენერლები დღეს მეთორნეებად არიან გადაქცეულნი, კოლონელები მეკარეებად და მეეზოვეებად გადაიქცნენ. სწორედ ამ პროცესს, ან ცხადად ლიკვიდაცია გამოურკვეველი ან მარჯვნივ გარკვეული ინტელიგენციისა ამ პროცესს ვერავითარი ძალა ვერ შეაჩერებს და ეს პროცესი ობიექტიურად არ არის პროცესი რეტროგრადიული. ჩვენ მხოლოდ ეროვნულად და სუბიექტურად გვაწუხებს ქართველი ინტელიგენციის ეს გადაშენება. ჩვენ პატარა ქვეყნის პატარა ხალხი ვართ მცირე რიცხოვან ინტელიგენციით. ეს ინტელიგენცია საჭიროა ჩვენი ხალხისათვის და ვცდილობთ თანამედროვე ისტორიული მდგომარეობა გავარკვიოთ იმიტომ, რომ ყოველგვარ პსიხოზიდან გავანთავისუფლოთ იგი, ჩავაფიქროთ და ახალი გზები უჩვენოთ.

ინტელიგენცია უეჭველად წარმოშობს ახალ ძალებს თავის წრიდან, რომელიც არ მოისპობა, არ გადაშენდება, გაიმარჯვებს და ვინც ამ პროცესს დროზე გაიგებს და შეურიგდება, ის უდიდეს სამსახურს გაუწევს ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ეროვნებას, რევოლიუციას. სხვა გზა არ არსებობს ინტელიგენციისათვის. დროზე გამოფხიზლება ჩვენი ისტორიული მოვალეობაა. ისტორიის სამართალი და მომავალი დაგვანახვებს ჩვენი დებულებათა ძალას და დირებულებას.

თედო ღლონტი.

დავეხმაროთ დამშეულთ

ჯერ კიდევ ზამთარი არ დასრულებულა და სიმშილმა თავისი საშინელი სახე უკვე გვიჩვენა საქართველოში. ჩვენს რედაქციას მოსდის წერილები და ცნობები დამშეულ რაიონებიდან, მდგომარეობა მეტის მეტად მწვავე და სერიოზულია. ჩვენს წინ საშინელი მომავლის პერსპექტივები იშლება: სიმშილი განადგურებას უქადის ქართველ ხალხს. განსაკუთრებით სიმშილის აჩრდილი ემუქრება დასავლეთ საქართველოს მაზრებს. ლეჩხუმის, რაჭისა და შორაპნის მაზრები დღეს უკვე განიცდიან სიმშილს. მაგრამ არა მარტო დასავლეთი საქართველო იმყოფება ასეთს მდგომარეობაში; აღმოსავლეთ საქართველოს სამხრეთი ნაწილი სიმშილის მოლოდინში არის და დუშეთის, თიონეთისა და სხ. მაზრები ძლიერ დიდ გაჭირვებაში ჩავარდება, თუ თავის დროზე არ იქმნა მიღებული შესაფერისი ზომები.

ქართველი ხალხის წინაშე მორიგი დიდი საფრთხე სდგას და საჭიროა ხდება მთელი ჩვენი ენერგიის დაჭიმვა, მთელი ჩვენი მოქმედი ძალების მიზანშეწონილად ამოძრავება, რომ თავიდან ავიცილოთ სიმშილის საშინელი შედეგები და ხალხი გადავარჩინოთ განადგურებას.

სიმშილი ყველაზე უფრო საშინელი მტერია ჩვენი წარმატებისათვის; ის არიავებს ფიზიკურად ხალხს, უსპობს მას სულიერ სიმშვიდეს; ანადგურებს ეკონომიური ცხოვრების პირობებს და მთელი ერის წინმსვლელობას ემუქრება.

დღევანდელი თავზე დატეხილი სიმშილი თუ შესაფერისად არ გადავიტანეთ, თუ არ დავეხმარეთ ხალხს ყოველი ჩვენის ძალ-ღონით და არ აღვადგინეთ მისი შრომის ნაყოფიერებისათვის საჭირო პირობები, მისი სასტიკი შედეგები მრავალი წლის განმავლობაში გასტანს და საგრძნობი შეიქმნება მომავალშიაც. საჭიროა დღესვე სიმშილის წინააღმდეგ ბრძოლა და მისი შედეგების ძირშივე მოსპობა, რომ შემდეგში თავი გავანთავისუფლოთ გამანადგურებელ პირობებისაგან.

საქართველოს თავისი პური არასოდეს არ ყოფნიდა. ჩვენი პირნახულის მოსავალი ვერ აკმაყოფილებდა ქართველი ხალხის რეალურს მოთხოვნილებას, მაგრამ ახლანდელმა მოუსავლობამ კრიზისი საშინლად გაამწვავა და წლევანდელი მოსავალი დიდი ხნის განმავლობაში ვერ დააკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნილებებს.

გასულს წელში ჩვენი სასოფლო მეურნეობისათვის პირდაპირ საშინელი მდგომარეობა შეიქმნა. ეს მდგომარეობა არ იყო გამოწვეული ჩვენი ცხოვრების გამწვავებული ეკონომიური და პოლიტიკური პირობებით. მართალია, თანამედროვე ეკონომიური კრიზისები, რომელიც გამოწვეულია საერთაშორისო მეურნეობის ვითარებით, დიდს უარყოფითს გავლენას ახდენენ ჩვენი სოფლის სამეურნეო ცხოვრების წარმატებაზე, მაგრამ არსებული კრიზისი გაამწვავა და გაართულა შარშანდელმა შენების სასტიკმა სიცხეებმა. გვალვიანმა გაზაფხულმა და შემოდგომის კოკისპირულმა წვიმებმა საშინლად დააზიანა და არა ხელსაყრელი პირობები შექმნა ჩვენს სოფლებს.

ჩვენი მეურნეობა დაზიანდა ამ საშინელი პირობებით და აქედან წარმოიშვა ჩვენი სასურსათო კრიზისიც.

მაგრამ შექმნილ მდგომარეობას გულზე ხელ დაკრეფილი ვერ დაუწყებთ ყურებას და საჭიროა სასწრაფო ენერგიული ზომების მიღება დამშეულთა დასახმარებლად. ამ მიზნით ჩვენმა მთავრობამ უკვე დაარსა დამშეულთათვის დამხმარე კომიტეტი ამხ. ფ. მახარაძის თავმჯდომარეობით. კომიტეტმა უკვე გამოიმუშავა ზომები დ პრაქტიკულადაც გადადგმული არის ნაბიჯი დამშეულთა დასახმარებლად თებერვლის 14-ს სხდომაზე დამშეულთა კომიტეტმა დაადგინა რაჭისა და შორაპნის მაზრებს დამშეულთა დასახმარებლად დაეგზავნოს თითო ვაგონი ხორბალი. ამ გვარად დამშეულთა დამხმარე ორგანიზაცია თანდათან შედის ძალაში და პრაქტიკული ზომებიც მიღებული არის. მაგრამ ზომები ვერ იქნება დამაკმაყოფილებელი, თუ არ გავაფართოვეთ მისი გეგმა. სახელმწიფო ორგანიზაციებთან ერთად მოქმედებაში ჩაბმული უნდა იქნეს ფართო საზოგადოებრივი მასებიც. ამ შემთხვევაში ჩვენთვის საჭიროა საზოგადოებრივი ძალების მობილიზაცია და მათი ენერგიის ამოძრავება.

გარდა ამისა დამშეულთა დახმარების ორგანიზაცია და მისი მოწესრიგება—შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენს განკარგულებაში იქნება დიდი მარაგი სურსათ-სანოვაგისა. მთავარი კითხვა და სიმძიმე სწორედ ამაში მარხია. მარაგის შეძენის საკითხი უნდა შეადგენდეს ჩვენს მთავარ სამოქმედო აზრს. ამ მხრივ სასურსათო კომისარიატმა მთელი თავისი ძალღონე უნდა გამოიჩინოს და საერთაშორისო ბაზრები გამოიყენოს საკითხის მოსაწესრიგებლად.

რუსეთის დახმარება და ჩვენი შინაური ბაზარი ჩვენს მოთხოვნილებებს ვერ დააკმაყოფილებს. დამშეული რუსეთი თვით განიცდის საშინელს კრიზისს და ჩვენს გაჭირვებას ის ვერ უშველის. შინაურ ბაზარზე ლაპარაკი ზედმეტია. აუცილებელი საჭირო ხდება საგარეო ბაზრებისაკენ მიმართვა მთელი ჩვენი ენერგიისა და მისი ამგვარად მოწესრიგება. სახელმწიფო ორგანიზაციებსა და დამხმარე კომიტეტს მართებს დიდი სიფხიზლისა და ენერგიის გამოჩენა ამ საქმეში.

საზოგადოება კი მოვალეა მთელი თავისი ძალღონით დაეხმაროს დამშეულთა დამხმარე კომიტეტს და კარზე მომდგარ საფრთხის აცილებაში შესაფერისი წვლილი გამოიღოს. შეერთებულის ძალღონით შევძლებთ სიმშილის გამანადგურებელ შედეგების მოსპობას და ჩვენი ცხოვრების მსვლელობას ნორმალურ კალაპოტში ჩავაყენებთ.

არც ერთმა ჩვენთაგანმა არ უნდა დაივიწყოს, როგორი მიმართულების და პოლიტიკური რწმენის არ უნდა ვიყოთ, რომ დიდი საფრთხე გვიდგას წინ და საჭიროა შეერთებული ენერგია და მთლიანი მოქმედება სიმშილთან საბრძოლველად.

შეერთებულის, მთლიანის ფრონტით ბრძოლის გაჩაღება სიმშილის აჩრდილის წინააღმდეგ, აი რას მოითხოვს ჩვენგან მდგომარეობა.

ხიმ. ხუნდაძე

რეაქციის მოციქულები

მსოფლიოს მაშტაბით არსებულ ბრძოლამ ორ მოწინააღმდეგე ბანაკს შორის, ამ ქამად სულ სხვაგვარი სახე მიიღო. იარაღის ქღარუნის ეპოქა ადგილს უთმობს „მშვიდობიან“ მოლაპარაკებას, დათმობას, ზავს. ორივე მებრძოლი მხარე სდგას შეთანხმების პოლიტიკის წარმოების ნიადაგზე და სცდილობს საარსებო ინტერესების დიპლომატიურის გზით განიდებას. პირველის, შეხედვით ეს მეტად კურიოზული მოვლენაა საერთაშორისო პოლიტიკურ ცხოვრებაში. მაგრამ მოულოდნელი და კურიოზული არ მომხდარა არაფერი. მართალია, ვინ წარმოიდგენდა ამას წინად, რომ „გამარჯვებული“ ანტანტა დაყრიდა ფარ-ხმალს რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში და გენუას კონფერენციის იდეის რეალიზაციას მიემხრობოდა? ვინ იფიქრებდა და დაუშვებდა ერთ წუთს, რომ კაპიტალისტური სამყაროს ბელადი ლოიდ ჯორჯი რუსეთის რევოლიუციის პიონერის—ლენინთან პირისპირ წარდგომას და მასთან საზოგადო ცნაზე ლაპარაკს მოისურვებდა! ეკონომიურად ანტანტა დიდი ხანია განადგურების გზას ადგას, მისი პოლიტიკური მთლიანობის სალტეები უკვე მოშლილი და დარღვეულია. გენუის კონფერენცია ანტანტის გახრწნის და მისი მსოფლიო სიძლიერის დაცემის დამთავრებაა.

საბჭოთა რუსეთის საერთაშორისო მდგომარეობა დღითი დღე მტკიცდება, უმჯობესდება. თუ წინეთ რუსეთს რობინზონის კუნძულად სთვლიდნენ და იცნობდნენ მას, როგორც „ბარბაროსულ ცივილიზაციის“ მატარებელს, დღეს სულ სხვაგვარი წარმოდგენა სუფევს აქ ქუაზიულ ანტანტის სამართველ წრეებში. ოთხი წლის მედგარი ბრძოლით რუსეთის მშრომელთა კლასმა ნათლად დაუმტკიცა ევროპას, რომ რუსეთის განკარგულებაშია დიდი რეალი ძალა, რომელიც ერთ და იმავე დროს მიმართულია როგორც საშინაო მდგომარეობის განმტკიცებისაკენ, აგრეთვე საგარეო საფრთხის, კონტრ-რევოლიუციონურ მიდრეკილებათა ლიკვიდაციისაკენაც. დღეს თამამად შეიძლება ითქვა: რუსეთი ადგას გამარჯვების გზას, რეაქციური ანტანტა აძულებულია მიდგეს და იცნოს მისი სახელმწიფოებრივი უფლებები.

საერთაშორისო პოლიტიკურ კონიუნქტურაში მომხდარმა ამ ერთმა ცვლილებამ გამოიწვია კარდინალი ფსიქოლოგიური გარდატეხა რევოლიუციის წინააღმდეგ მებრძოლ გოლიათების ცნობიერებაშიც. ახლა ძლიერ ნათლად ახსოვთ ვლ. ბურცევის ორგანო „საერთო საქმე“-ს ლოზუნგი: Дезертиров в борьбе с большевиками не должно быть“. ამის საუცხოო ილიუსტრაციაა „სმენა ვეხი“-ს გარშემო თავმოყრილ ჯგუფის დღევანდელი პოზიცია. ამ quasi—რეაქციონერმა ელემენტებმა შავი ჯვარი დაუსვეს წარსულში მთელ ხაზოქმედებას და საჭვეუნოთ აღიარეს თავიანთი საბედისწერო შეცდომები.

რა ხდება ჩვენში, საქართველოში? როგორ ემსახურება მშრომელთა კლასის ძალა-უფლების განმტკიცებას, რე

ვოლიუციონური სოციალიზმის იდეას ქართული „სოციალისტური" პოლიტიკური პარტიები? საითკენაა მიმართული მათი ცდილებები და რას შეიცავს მათი პოზიცია?

ამ თავითვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენში არსებობს არა პარტიები, არამედ ერთი პოლიტიკური, ყველა პარტიებისაგან შემდგარი და „ორგანიულად გაერთიანებული პარტია, რომელსაც ეთაყვანებიან მენშევიკები და მათი ავან-ჩავანნი—მემარჯვენე ფედერალისტები. ეროვნულ-დემოკრატიული, მენშევიკური და მემარცხენე ფედერალისტების პარტიების ნომენკლატურა, ამიერიდან არ არსებობს ქართულ პოლიტიკურ სიტყვათა ლექსიკონში. „რევოლიუციის წინააღმდეგ მებრძოლ პარტიათა ლიგა"—აი სახელწოდება, რომელიც მხოლოდ დაახლოვებით გამოხატავს მცნების შინაარსს,

„ლიგა" პრინციპიალად წინააღმდეგია საბჭოთა სისტემის, მშრომელთა კლასის ბატონობის, რუსეთის თანამედროვე რევოლიუციის. ამით იგი, ლოღიკურის აუცილებლობით, მოყოლილია რეაქციონურ ანტანტის პოლიტიკურ ორბიტაში. რას შვრებიან დღეს მენშევიკები და მემარჯვენე ფედერალისტები? არაფერს და თან ყველაფერს. არაფერს იმ თვალსაზრისით, რომ ისინი რევოლიუციისათვის მხოლოდ ლეშს წარმოადგენენ, ყველაფერს—რადგან მათი მთელი ძალ ღონე, ფიზიკური და ინტელექტუალური მთელი ენერგია მიმართულია შრომის საბჭოთა, საბჭოთა რესპუბლიკის ზნეობის საძირკველის ჩამოშლისაკენ. რეაქციის ეს „იდეიური გმირები" არ ისვენებენ, არ ისვენებენ [illegible] ქედს თანამედროვე რევოლიუციის ქარიშხლის წინაშე, არ ურიგდებიან მშრომელთა დიქტატურას და საწყალი ხალხის ნორმალური ცხოვრების ჩამოყალიბების წინააღმდეგ იღვწიან. ქორიკანობა, დემაგოგია, პროვოკატორობა, ინსინუაციების გავრცელება—აი ამ ხალხის ეპოპეა. ამას მოწმობს ჩვენი ცხოვრების ყოველი ფაქტები. გასული წლის, ნოემბრის პირველს, შეეცადნენ ტფილისის, კიდევ მეტი—მთელი საქართველოს მაშტაბით, მუშათა საერთო გაფიცვის მოწყობას. ვერ მიაღწიეს მიზანს: მშრომელთა კლასმა უარყო მათი ზავი ხრიკების განხორციელება. ა. წ. თებერვლის 11-ს სტუდენტობა დაარაზმეს არსებულ სისტემის და ხელისუფლების საპროტესტოდ. ქუთაისში, ალბათ, კიდევ ბევრ საგმირო საქმეებს უნდა მოველოდეთ მათგან. რის განმტკიცებას ლამობს ეს ხალხი ამ პოლიტიკურ მეთოდებით? „დემოკრატიულ" რეჟიმის განმტკიცებას? ასეთი „გამოსვლები" ამისთვის ხომ არაა საკმარისი! მაშ რათ უნდათ „გამოსვლების" პოლიტიკის წარმოება? აშკარაა იმისათვის, რომ დაავიწყონ ჯორჯ-მილიერანებს, აი, საქართველოში, არსებულ წეს-წყობილების წინააღმდეგ ამხედრებულია „საზოგადოებრივი აზრი", მშრომელი ხალხი, ახალგაზრდობა—სტუდენტობა და სხ. და სხ. ერთი სიტყვით, ეს [illegible] ქორდანია-წერეთელ-რამიშვილს ახალ არგუმენტს, სიმტკიცის ახალ მოწმობას. ჩვენში [illegible] ყოველგვარი „გამოსვლა", მიუხედავად იმისა, გრანდიოზული იქნება მისი ხასიათი თუ მეტად ვიწრო და უმნიშვნელო, მეტად მნიშვნელოვანი კოზირია რამიშვილების ხელში. ამით ისინი იმზადებენ უფრო მტკიცე ნიადაგს ევროპის მმართველ წრეებში და იმსახურებენ ბურჟუაზიულ საზოგადოებრივ აზრის და ყვითელ მუშების ნდობას და სიმპატიას.

ამ მხრივ, ქართული „ლიგის" მოღვაწეობა მეტად სავალალო და დამაფიქრებელია. რეაქციის გმირების ადვილად ახსნილობამ არ უნდა გადალახოს შესაძლებლობის საზღვრები. მშრომელმა ხალხმა და მის ორგანოებმა სასტიკი თვალყური უნდა ადევნოს და მკაცრი კონტროლი გაუწიოს რევოლიუციის დეზერტირების ყოველ ნაბიჯებს.

გ. მუშიშვილი.

ჟურნალ-გაზეთებიდან

კომუნისტები ინგლისში. მილიუკოვის „პოსლედნია ნოვოსტი" № 478 სწერს: „ზრდა კომუნისტურ ელემენტების აქტივობისა ლონდონში, ძლიერ აშინებს ინგლისის საზოგადოებრივ აზრს. ამ დღეებში მთავრობას წარუდგინეს რამოდენიმე შეკითხვა ამ მოვლენის შესახებ. ინტერპელიანტები დაინტერესებულნი იყვნენ გაეგოთ, საიდან ღებულობენ უკიდურესი ელემენტები აუცილებელ წყაროს პროპაგანდისათვის და, როგორ ზომებს ღებულობს მთავრობა ბოლშევიკური აგიტაციის წინააღმდეგ საბრძოლველად.

შინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ მთავრობა ძლიერ შეწუხებულია იმ ელემენტების აგიტაციის გაძლიერებით, რომელნიც არღვევენ სოციალურ მშვიდობიანობას და ღებულობს ყველ მისგან დამოკიდებულ ზომებს ამ ელემენტებთან ბრძოლაში. მინისტრის სიტყვით, კომუნისტები საშუალებას ოფიციალურად აგროვებენ წევრების გადასახადებიდან და ხსვა წვრილმან შემოსავლიდან, მაგრამ აგრეთვე ღებულობენ რასაკვირველია სუბსიდიებს საზღვარგარეთულ წყაროებიდანაც.

კომუნისტებს შორის არიან ბლომად უცხოელებიც; ზოგიერთები, რომელნიც შემჩნეულნი იყვნენ დამღუპველ აგიტაციაში, გადასახლებულნი არიან ინგლისიდან. შემდეგ მინისტრი აცხადებს, რომ ლონდონში იყო ცდა შექმნათ უმუშევართა რიცხვიდან წითელი არმია, მაგრამ ეს ცდა ძირშივე იქმნა მოსპობილი.

ჯონ-მეინარდ კეინსი ვერსალის ზავის შედეგების შესახებ. ორი წლის წინეთ ვერსალის საზავო კონფერენციის ინგლისის დელეგაციის ფინანსიურმა მრჩეველმა კეინსმა დასწერა წიგნი: „ზავის ეკონომიური შედეგები", რომელშიაც კრიტიკულად არის შეფასებული ვერსალის საზავო პირობები და დამღუპველად მიაჩნია იგი კაცობრიობისათვის. წიგნმა თავის დროზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ევროპის პოლიტიკოსებზე. წიგნის მეექვსე თავი—„ევროპა ხელშეკრულების შემდეგ"—იწყება ასეთი სიტყვებით: „ეს თავი უნდა წარმოადგენდეს თავს პესიმიზმისას. ხელშეკრულება არ შეიცავს არც ერთს საშუალებას რომელიც ხელს შეუწყობდეს ევროპის ეკონომიურ აღდგენას,—არაფერს ისეთს, რომელსაც შეეძლოს გადაექციოს დამარცხებული ცენტრალური იმპერიები კეთილ მოსილ მეზობლებად, არაფერს, რომელიც—გაამაგრებდა ახლად აღმოცენებულ ევროპის სახელმწიფოებს,—გამოეწვია ცვლილება რუსეთის ყოფაში. გარდა ამისა, ის (ხელშეკრულება) მცირედადაც არ უწყობს ხელს ეკონომიური სოლიდარობის გაძლიერებას თვით მოკავშირეთა შორის. პარიზში ვერ შეთანხმდნენ საფრანგეთისა და იტალიის დარღვეულ ფინანსების აღდგენის მიზნით, ვერც „ძველი და ახალი ქვეყნების" სისტემების შეფარდების მოყვანის მიზნით". წიგნის წინასიტყვაობაში ავტორი ეხება ევროპის დღევანდელ მდგომარეობას და ამბობს: „კონტინენტალური ევროპაში ნიადაგი იძვრება, და არავინ არ არის, რომელსაც არ ესმოდეს მგონი. აქ საქმე შეეხება არა გაფლანგვასა და „მუშათა უწესრიგობას", არამედ სიცოცხლეს და სიკვდილს, სიმშილით გადაშენებას და არსებობას, მომაკვდავი ცივილიზაციის საშინელ ცახცახებას".

ინგლისის ლიბერალურმა ეკონომისტმა თავიდანვე სწორი პროგნოზი დაუსვა ვერსალში შემუშავებულ საზავო პირობებს და ნათლად დახატა ის შედეგები, რომელიც მოჰყვებოდა ამ ხელშეკრულებას.

ვერსალის საზავო კონფერენციის სამი წლის თავზე, როცა დაქიშპული საერთაშორისო ძალები კვლავ ერთი მეორეს წინააღმდეგ სდგანან იარაღით ხელში და მთელი კაცობრიობა გამოხადგურებულ ეკონომიურ კრიზისში იმყოფება, ჯონ მეინარდ კეინსის წინასწარ გამოთქმულ შეხედულებას მეტი სიმტკიცე ემატება. მომაკვდავ კაპიტალისტურ მეურნეობას ვერ უშველა იმპერიალისტების რჩევამ და რეცეპტმა, იგი ვერ გადაარჩინა საშინელ კრიზისს ვერც ლიბერალურმა დარიგებებმა. კაცობრიობის გამომრთელებასა და აღდგენას ესაჭიროება ახალი ხელისუფალი, რომელიც შემომქმედი ხელით აღადგენს თავისუფალ შრომას.

ახალი ამბები

—**„შრომის კანონდებულებათა კრებული".** რედაქციამ მიიღო შრომის სახალხო კომისარიატის მიერ გამოცემული „შრომის კანონდებულებათა კრებული № 1", რომელიც შეიცავს დეკრეტებს, დადგენილებებს და სხ. გამოცემულს 1921 წლის მარტის 15-დან სექტემბრის 15-დე. კრებული სისტემატიურად არის შედგენილი და მრავალი საყურადღებო მასალა არის შიგ მოთავსებული.

— **ვალიუტის კურსი.** სახალხო ბანკის მიერ 15 თებერვალს დაწესებულ იქმნა უცხო ვალიუტაზე შემდეგი კურსი (ათას მანეთებში):

სტერლინგი	1300
ოსმ. ქაღ. ლირა	240
დოლარი	320
მარკა გერმ.	2

— **ბინის გადასახადი და სტუდენტები.** ტფილისის აღმასკომმა განათლების სახალხო კომისარიატის შუამდგომლობით დაადგინა, რათა ბინის გადასახადის მხრით სტუდენტები გათანასწორებულ იყვნენ საბჭოთა მოსამსახურეთა კატეგორიებთან.

— **ხიდების იჯარა.** ინჟ. ჯაფარიძემ მიმართა ქალ. ტფილისის აღმასკომს შუამდგომლობით, რათა მას მისცეს იჯარით ქალაქის ხუთი ხიდი 360 მილ. მან. ყოველ წლიური გადასახადით.

— **ქალაქის რკინის გზის სადგური.** ამიერ კავკასიის რკინის გზათა გამგეობამ მიმართა ქალ. ტფილისის აღმასკომს თხოვნით დაუთმოს მას შენობა № 11, რუსთაველის პროსპექტზე, რომელიც უკავია ცენტროკავშირს რკინის გზათა ქალაქის სადგურად ბილეთების გასაყიდად და გადასაგზავნი ბარგის მისაღებად. ვინაიდან აღნიშნული შენობა სავსებით გამოსადეგია ნაჩვენებ მიზნისათვის, ტფილისის აღმასკომმა დაადგინა სთხოვოს განათლების სახალხო კომისარიატს დაუთმოს ნათხოვნი შენობა რკინის გზათა სამართველოს.

—**მბეჭდავთა პროფკავშირში.** ცენტრალურმა გამგეობამ საქართველოს პროფკავშირის პოლიგრაფიული წარმოებისამ დაადგინა გახსნას თავის წევრთათვის სასადილო.

პარტიაში

პარასკევს თებერვლის 17 საღამოს 4 საათზე გაზ. „ტრიბუნის" რედაქციაში დანიშნულია ახალგაზრდათა კომიტეტის სხდომა. წევრებს ევალებათ აუცილებლად დაესწრონ.

პრეზიდიუმი.

რუსეთი

მოსკოვი. მოსკოვის საბჭოს სტატისტიკური ბიუროს ცნობით, დეკემბრის განმავლობაში მოსკოვში რეგისტრაციაში გატარდა: 569 დაბადების შემთხვევა, 3262 სიკვდილის, 1103 ქორწინების და 126 გაყრის.

მოსკოვი. ირბიტსკის ბაზარზე ემჩნევა მანუფაქტურის დიდი მოთხოვნილება. მოვიდნენ ვიატსკის ეკონომიური ორგანიზაციის წარმომადგენელნი კუსტარული ნაწარმოების საქონლით. ვაჭრობა უმთავრესად ხდება საქონლის გაცვლა გამოცვლით. ფულის ნიშნებზე ფასები საქონელზე დიდია.

მოსკოვი. დამშეულთა დამხმარე ცენტრალური კომიტეტის კრებაზე ამხ. ლობაჩევმა გააკეთა მოხსენება თავისი კამპანიის შესახებ: თებერვლის 11-ს რკინის გზის სადგურებზე მოტანილია 14 მილიონი ფუთი. დატვირთულია 9 მილიონი ფუთი. ადგილზე მოტანილია 1.700,000 ფუთი.

უცხოეთი

ნაუენი. 14 თებ. პარიზში ჩავიდა ბენეში, პუანკარესთან მოლაპარაკებისათვის მცირე ანტანტის დამოკიდებულებაზე გენუასთან. შემდეგ ბენეში გაემგზავრება ლონდონში.

ბორდო. 14 თებ. 22 თებერვალს ბელგრადში იკრიბება მცირე ანტანტის პრემიერთა თათბირი გენუას კონფერენციის შესახებ.

ბორდო, 14 თებ. ბერლინიდან გვაცნობებენ, რომ ვირტის მთავრობის მდგომარეობა მეტად რთულია. რეიხსტაგის უმრავლესობა შესაძლებელია არ გამოდგეს ვირტის პოლიტიკის გასამართლებლად.

ნაუენი. 14 თებ. რომში, წმ. პეტრეს ტაძარში ეკურთხა პაპი პიი XI.

ბერლინი. 14 თებ. ამერიკის სენატმა დიდი უმეტესობით უარყო „ოთხთა შეთანხმების" რატიფიკაცია. სენატში შეიქნა დიდი ოპოზიცია შეთანხმების მიღების წინააღმდეგ და გამოითქვა აზრი, რომ ამერიკას მოუხდება იარაღით ხელში გადასჭრას შეთანხმების საკითხები.

რომი. 14 თებ. ამერიკული გაზეთების ცნობით, ამერიკამ საბოლოოდ გადასწყვიტა, რომ იგი გენუას კონფერენციაში მონაწილეობას არ მიიღებს.

რომი. 14 თებ. პუანკარეს განკარგულებით შესდგა კომისია, რომელშიაც შედის საგარეო საქმეთა მინისტრი და ფინანსთა მინისტრი. ამ კომისიას ევალება გენუას კონფერენციის საკითხთა დამუშავება.

ნაუენი. 14 თებ. მეწარმოებელთა და მუშათა შორის დანიაში შესწყდა მოლაპარაკება.

პარიზი. 14 თებ. რომიდან იტყობინებიან, რომ იტალო-რუსეთის ეკონომიური შეთანხმების გამო, იტალიოთ-რუსეთის შორის დაიწყო მუშაობა ფოსტა-ტელეგრაფმა.

ბორდო. 14 თებ. ფინანსიურ-სამხედრო კომისიის სხდომაზე პუანკარემ განაცხადა, რომ 2 წლით სამხედრო სამსახური საფრანგეთის არმიაში დროებითია. მომავალში შესაძლებელია, რომ სამსახურის ვადა შეცირდეს 1 წლით.

ვენა. 14 თებ. ინგლისის წარმომადგენელმა აცნობა ავსტრიის მთავრობას, რომ ინგლისი მას აძლევს სესხად 2 მილ. გირ. სტერლინგს.

პარიზი. ლლოიდ ჯორჯმა პალატაში განაცხადა: გენუას კონფერენციის გადადება დამოკიდებული იქნება განსაკუთრებით იტალიისაგან. „შტანდარტი" ამტკიცებს, რომ კონფერენცია არ შესდგება არა უადრეს აპრილისა.

რომი. ლლოიდ ჯორჯი აცხადებს: საკითხი გენუას კონფერენციის გადადების შესახებ ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი.

მოსკოვი. ლონდონიდან გვატყობინებენ, რომ ბრიტანეთის მთავრობა თანახმაა გენუას კონფერენციის გადადებისა მხოლოდ იმ დრომდე, სანამ შესდგებოდეს იტალიის ახალი კაბინეტი.

ნაუენი. 14 თებ. დოქტორ დილონი გვიზიარებს თავის შთაბეჭდილებებს [illegible] გერმანიაში მოგზაურობის [illegible]. იგი უფრო სერიოზულად სთვლის გერმანიის მდგომარეობას, ვიდრე ამას [illegible] ფიქრობენ [illegible] ანტანტის [illegible] პოლიტიკა [illegible] აუცილებლად მიიყვანს გერმანიას კატასტროფამდე. [illegible] ხელშეკრულებამ გაყვლიფა გერმანია, წაართვა მას არსებობის სახსარი და მისი პოლიტიკური სუვერენობა. ვირტის [illegible] მდგომარეობდა იმაში, რომ დაემტკიცებინა ამ ხელშეკრულების უდიდესი უაზრობა.

ბერლინი. 6 თებ. გერმანული პრესა აღნიშნავს, რომ გენუას კონფერენცია არის მეცამეტე ვერსალის შემდეგ. დიპლომატები არასოდეს არ მოგზაურობდნენ ამდენს და არასოდეს არ სადილობდნენ ერთად ისე ხშირად, როგორც დღეს. იშვიათია ასეთი მოღვაწეობა დიპლომატთა ქვეყნიერების გაბედნიერებისათვის. მაგრამ რეზულტატი მუშაობისა მეტად მწირია.

ქართველი მუსლიმანების სულიერი ვითარება

(შემდეგი).

საკითხი მე-50. ვაკფის ოქმი, ეხება დავაკფულ ქონების ნამდვილს, (ნატურას), რომლის შესაკუთრება და გასაკუთრება არის შეჩერებული და სასარგებლობა კი დავაკფებული ქონებისა ეკუთვნის ადამიანის შვილებს.

საკითხი მე-51 დამვაკფელი უნდა იყოს ასაკში შესული, სრული წლოვანი, არა მონა, თავისუფალი, ჭკვა-გონების პატრონი. ესე იგი „რეშიდი" პირი.

საკითხი მე-52. დავაკფვის მიზეზები არის სიქველმოქმედო მიზნით თავისი ქონების გაღება, ღმერთთან დაახლოვებისა და თაყვანისცემის განსახვა.

საკითხი მე-53. უკეთესი ვაკფი არის ისეთი ქონების დავაკფვა, რაიც დიდ მოთხოვნილებასა და აუცილებლობას წარმოადგენს ხალხისათვის. მაგალითად: მცხოვრებლების დამაკმაყოფილებელი წყალსადენი რომ არსებობდეს და იქ სასწავლებელი რომ არ იყოს, ნაცვლად წყალსადენის გამოყვანისა სკოლის აგება და დავაკფვა უფრო უკეთესი და სახეირო იქნება.

საკითხი მე-54. ვინმე პირმა დავაკფვის განზრახვით რაიმე ქონება რომ შეიძინოს და შესყიდვის შემდეგ ხსენებული ქონების დავაკფვაზე, რომ აღარა სთქვას რა, მხოლოდ დავაკფვის განზრახვის გამო, შესყიდული ქონება, არ შეიძლება ჩაითვალოს ჩაირიცხოს ვაკფად.

საკითხი მე-55. რომელიმე ვაკფის მზრუნველმა, ვაკფის შემოსავლის თანხიდან დავაკფვის განზრახვით რაიმე ქონება რომ შეიძინოს, ხსენებული ქონება ვინაიდან ვაკფის შემოსავლის თანხით არის შესყიდული, არ შეიძლება ჩაითვალოს ვაკფად. მაგრამ ხსენებულ მზრუნველს, მაინც არ ეკრძალება უფლება, შეძენილი ქონება, გამყიდველთან გამათავისებელთან შეთანხმებით, წამოაყენოს ნასყიდობის პირობა და მიჰყიდოს, გაუთავისოს სხვას. მხოლოდ ესეც კი არის, რომ მზრუნველმა ვაკფის შემოსავლის თანხით შესყიდული, შეთავისებული ქონება, შემდეგ თანხმად ყადის (შერიეთის მსაჯულის) მიერ ხსენებული ქონების ვაკფად გამოსწორების [illegible] დადგენილებით შეიძლება [illegible] ვაკფად [illegible] რებული.

ამასთან ერთად ვაკფის მზრუნველმა ვაკფის შემოსავლის თანხით კი არა, არამედ დავაკფებული თანხით, რაიმე ქონება რომ შეიძინოს, ის უსათუოდ ჩაითვლება ვაკფად.

მაგალითად: შემოსავლიან ქონებაში გადაცვლის პირობით, მზრუნველმა, რაიმე ქონება რომ შეიძინოს, ხსენებული ქონება ითვლება ვაკფად, და ყადის მიერ ხსენებული ქონების ვაკფად გამოსწორებისათვის დადგენილების გამოტანა არაა საჭირო.

თავი მე-2.

ვაკფის სისწორეზე დამოკიდებულ პირობებს შეეხება.

საკითხი მე-56, ვაკფის გამათავისებელი და გამაჩუქრებელი უნდა იყოს სრული წლოვანი და გონიერი პირი.

ბავშვის, სულელისა და შერყეულის მიერ, რაიმეს დავაკფვა არაა სწორი. მაგრამ ხსენებულების სასარგებლოდ ვინმემ, რაიმე ქონება რომ დაავაკფოს სწორი არის და დადასტურებული.

არც მონას აქვს უფლება, რაიმე ქონების დავაკფვისა. ვინაიდან მონას მიერ დავაკფული ქონება არაა სწორი.

მაგრამ თუ ბატონი დასტურს მისცემს, იმ შემთხვევაში მონას აქვს უფლება დაავაკფოს რაიმე თავისი ქონება.

საკითხი მე-57. ვაკფის აქტის მიღება არის დამოკიდებული თანხმობის პირობაზე.

იძულებით, რაიმე ქონების დავაკფვა, არაა კანონიერი.

საკითხი მე-58. უპირველეს ყოვლისა დამვაკფელი არ უნდა იმყოფებოდეს, ფლანგვისა და ვალიანობის გამო მზრუნველობის ქვეშ, ფლანგვისა და ვალიანობის გამო მზრუნველობის ქვეშ მყოფ ვინმემ, სანამ მისდამი მზრუნველობა არ იქმნება მოხსნილი მანამ რაიმე ქონება, რომ დაავაკფოს, ვაკფი არაა კანონიერი და სწორი.

საკითხი მე—59. კანონი და პირობა არ მოითხოვს, რომ დამვაკფელი აუცილებლად უნდა იყოს, რომელიმე სამუსლიმანო სახელმწიფოს მოქალაქე.

მაგალითად: ვინმე შემოხიზნულმა, რომელიმე სამუსლიმანო სახელმწიფოში თავისი ქონება რომ დაავაკფოს, ვაკფი სწორია და კანონიერი.

საკითხი მე-60 დამვაკფელისა და მოვაკფვის ერთ მორწმუნეობაც არაა აუცილებელი. მაგალითად: ვინმე მუსლიმანმა თანახმად საჭეკფო პირობისა, თავისი ქონება, უცხო სახელმწიფოს არა მუსლიმან ღარიბთა სასარგებლოდ რომ დაავაკფოს და, აგრეთვე ვინმე არა მუსლიმანმაც თავისი ქონება რომელიმე სახელმწიფოს მუსლიმან ღარიბთა სასარგებლოდ რომ დაავაკფოს, ვაკფი სწორია და კანონიერი და პირობა ვაკფისა ურყევი.

საკითხი მე-61. დავაკფული ქონება, აუცილებლად უნდა იყოს შემოსავლიანი. თავდაპირველად მოძრავი ქონების დავაკფვა არაა კანონიერი და სწორი. და თუ რომელიმე კუთხეში მოძრავი ქონების დავაკფვა ჩვეულებად დადასტურებულია და წარმოებული, ისეთ მხარეებში მსგავსი მოძრავის დავაკფვა სწორია და კანონიერი.

მაგალითად: მსურველთათვის, [illegible], სამეცნიერო, წმინდა და სალოცავი წიგნების დავაკფვა; სარგებლისა რომელიმე კეთილ საქმეზე მოხმარებისათვის ფულის დავაკფვა; სკოლებისა და საქველმოქმედო დაწესებულებებში [illegible] ხიდ[illegible] და [illegible] დავაკფვა; ღარიბთა სარგებლობისათვის დროებით მოსარგებლისათვის ტანისამოსებისა და სამკაულების დავაკფვა; აგრეთვე სათნო და საერთო საქმეებზე მოსახმარებლად, ცხვრების, თხების, ხარების, ძროხების და მსგავსი საქონლების დავაკფვა; და არა მარტო ღარიბ მხვნელ მთესველთათვის სესხი სახით გასაცემად სორბლეულობის დავაკფვა, თუ რომელსამე კუთხეში არის ჩვეულებად დადასტურებული და მიღებული, ისეთ კუთხეებში მსგავსი მოძრავების დავაკფვა სწორია და კანონიერი.

საკითხი მე-62. დავაკფულ ქონებასთან დაკავშირებული, დამოკიდებული მოძრავიც ივაკფება. თუნდაც ეს არ იყოს იმ მხარეში ჩვეულებად დადასტურებული და მიღებული.

ასე რომ, ვინმე პირმა რაიმე სამეურნეო ადგილი რომ დაავაკფოს მასთან დაკავშირებული და დამოკიდებული მთელი სამეურნეო იარაღიც, სულიერი და უსულო საგანიც სულერთიანად ივაკფება.

მემედ აბაშიძე.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი— მთავარი კომიტეტი.